შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი

(ს/კ 405485915)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად საანგარიშო წლისათვის,

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

თბილისი 2023 წ.

სარჩევი

დასკვნა ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ინდივიდუალური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების შესახებ 6

ინდივიდუალური ანგარიშგება სრული შემოსავლის შესახებ 7

ინდივიდუალური ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის სესახებ 9

ინდივიდუალურ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 10

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 11

1. ზოგადი ინფორმაცია 11

2. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-სმნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 11

2.1 მომზადების საფუძვლები 11

2.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში 13

2.3 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან 13

2.4 საოპერაციო იჯარა 14

2.5 მოგების გადასახადი 14

2.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა 14

2.7 ძირითადი საშუალებები 15

2.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება 16

2.9 მარაგები 16

2.10 ანარიცხები 17

2.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები 17

2.12 ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები 17

2.13 სესხები 18

2.14 საკუთარი კაპიტალი 18

2.15 დივიდენდები 19

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები 19

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები 19

3.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება 19

3.3 სასამართლო დავები 19

4. შემოსავალი 20

5. მომავალი საიჯარო გადასახდელები 20

6. სხვა ხარჯები 20

7. ძირითადი საშუალებები 20

8. მარაგები 21

9.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 21

10. ფული და ფულის ეკვივალენტები 21

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 22

12. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 22

13. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან 24

14. პირობითი ვალდებულებები 25

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები 25

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯის (ს/კ 405485915)

ხელმძღვანელობას:

დასკვნა ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

,,აუდიტ ლუქს სერვისი''-ს (ს/კ 400092760) მიერ (SARAS-F-844250 ; აუდიტორის ირინე დავრაშელიძე (პ/ნ 01001025692, სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-A-721631; https://www.saras.gov.ge/) ჩატარებულია შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯის (ს/კ 405485915) თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აგრეთვე სრული შემოსავლისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლებისათვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.
ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2023 წლის 10 სექტემბერს შესაბამისად ვერ დავესწარით კომპანიის მარაგების ფიზიკურ ინვენტარიზაციას 2022 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული თარიღებისთვის არსებული მარაგების ნაშთის სისწორეზე, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შესაბამისად 12 245 224 ლარისა და 8 184 277 ოდენობით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან მიმართებით, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ელემენტებში 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, ვინაიდან მარაგის ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბესსს”) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.
გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხიმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მიხედვით; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ფონდის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ,ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ აღმოვაჩენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვევლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ

ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანსაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დირექტორი

გარიგების პარტნიორი
ირინე დავრაშელიძე

აუდიტორი
მერაბ ფარცვანია
01 დეკემბერი 2023 წელი

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი

ინდივიდუალური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2022**	**31/12/2021**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	976580	3490730
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	917847	155784
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3518258	167525
მარაგები	12245224	8273939
მზა პროდუქცია	12245224	8184277
სხვა	0	89662
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	347525	321641
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	904734	585327
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	18910168	12994946
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	2847680	2896920
ანარიცხები	838851	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	1982
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	74
სულ ვალდებულებები	3686531	2898976
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	16815250	10991200
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-1591613	-895230
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	15223637	10095970
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18910168	12994946
სულ მოკლევადიანი აქტივები	12245224	12087981
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3686531	2898976

დირექტორი რადიგ ასგარლი

ფინანსური მენეჯერი რიმა ხაზალია

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი

ინდივიდუალური ანგარიშგება სრული შემოსავლის შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2022**	**31/12/2021**
ნეტო ამონაგები	26971356	1819461
საქონლის გაყიდვიდან	26971356	1819461
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-20265275	-1484153
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	6706081	335308
სხვა საოპერაციო შემოსავალი	309649	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1517548	-138479
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-115700	-11309
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-1861099	-106963
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-4533499	-916719
სულ საოპერაციო ხარჯები	-7718197	-1173470
საოპერაციო მოგება	-1012116	-838162
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-579497	-57068
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-1591613	-895230
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-1591613	-895230
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-1591613	-895230
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	10095970	0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	6719280	10991200
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	15223637	10095970

დირექტორი რადიგ ასგარლი

ფინანსური მენეჯერი რიმა ხაზალია

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი

ინდივიდუალური ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2022**	**31/12/2021**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	25893200	-6986374
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-24916620	-432075
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	10991200
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	976580	3572751
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	-82021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	976580	3490730

დირექტორი რადიგ ასგარლი

ფინანსური მენეჯერი რიმა ხაზალია

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი
ინდივიდუალურ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

საკუთარი კაპიტალი

	31.12.2022	31.12.2021
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	16815250	10991200
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	0	0
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გადაფასების რეზერვი	0	0
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-1591613	-895230
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	***15223637***	***10095970***

დირექტორი რადიგ ასგარლი

ფინანსური მენეჯერი რიმა ხაზალია

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯის ფინანსური ანგარიშგების აუდიტმა მოიცვა თანდართული ბუღალტრული ბალანსის აუდიტი 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების აუდიტი იმ საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით. აუდიტმა მოიცვა ასევე სალაროს და საბანკო ოპერაციების აუდიტი, მოთხოვნებისა და ვალდებულების აუდიტი, მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის მდგომარეობის აუდიტი, შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის მდგომარეობის აუდიტი, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ანგარიშებაზე არსებული ნაშთების რეალობის აუდიტი, აღნიშნული საკითხები ჩვენს მიერ შემოწმებული და გაანალიზებული იქნა მოწოდებული პირველადი დოკუმენტების, ბუღალტრული ჩანაწერების, ინფორმაციის და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე (რომლის რეალობასა და სისწორეზეა პასუხის მგებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა), აუდიტორული შემოწმება ჩატარდა დოკუმენტური, ანალიზური და შერჩევითი მეთოდების გამოყენებით, ტესტირების და ძირითადი პროცედურების შერჩევის გამოყენებით.
ავღნიშნავთ, რომ:

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო , თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ვაგზლის მოედანი N2, რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი, (ნაკვეთი 05/107) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ეი ბი სი - ტელეკომ, 1401005061 /აზერბაიჯანი/ 100%

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი, (ს/კ 405485915) კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანია, ასევე არ ფლობს წილებს სხვა კომპანიებში.

მესაკუთრე წილი წილის მმართველი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ეი ბი სი - ტელეკომ, 1401005061 /აზერბაიჯანი/ 100%
შპს ეი ბი სი - ტელეკომ (ს/კ 211360203) დაარსდა 11.10.2006წ , რეგისტრაციის მისამართი - AZ1141, აზერბაიჯანი ქ.ბაქო, იასამალსკი რაიონი; , შაფაიატ მეხდიევ, სახლი 138, კვარტალი 1023- 100%.
შპს ,,ეი ბი სი ტელეკომ'' წარმოდგენს დამფუძნებელთა სახით :
ხასან ფაზილ ოღლი ისრაფილზადე 16,65%
ფაზილ გასან აგა ოღლი ისრაფილოვ 33,40%
ელჩინ სალმან ოღლი ბაირამოვ 16,65%
ელნურ მარატ ოღლი ალახვერდიევ 16,65%

2. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

2.1 მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რადგან 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს სსბასს-ის ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.
სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისშედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინიხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.
შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.
სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კოვიდ 19 – ის გავლენის შედეგად, მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში სხვადასხვა ინდუსტრია გამოწვევების და სირთულეების წინაშე დადგა. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი არსებულ ვითარებაში შეაფასა მომავალი გეგმები შედეგად შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს ხელმძღვანელობის შეფასებით არსებობს საკმარისი რწმუნება, იმის შესახებ რომ შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი ფუნქციონირებას განაგრძობს მინიმუმ 3 წლის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

2.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	**ევრო**
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

2.3 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიაღიარებს შემოსავალს დაპირებული მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიმოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიიყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;

- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება
- სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა
შემოსავლები

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-სსაქმიანობა არის საცალო ვაჭრობა აუდიო- და ვიდეომოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა კომპიუტერებით, პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით სპეციალიზებულ მაღაზიებში. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი მომსახურების სახით;

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.
შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიშეფასებაში ასახავს ფასდათმობას, რომელსაც მომხმარებელი მიიღებს ოფციონის გამოყენებისას, რომელიც კორექტირდება შემდეგი ფაქტორის გათვალისწინებით: ა) ფასდათმობა, რომლის მიღებაც მომხმარებელს შეუძლია ოფციონის გამოყენების გარეშე; და ბ) ამ ოფციონის გამოყენების ალბათობა. ამასთანავე, როდესაც მომხმარებელს გააჩნია სამომავლო საქონლის ან მომსახურების შეძენის არსებითი უფლება და ეს საქონელი ან მომსახურება თავდაპირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ან მომსახურების ანალოგიურია და მიწოდებაც ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ხორციელდება, მაშინ შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი გარიგების ფასს ანაწილებს ოფციონით გათვალისწინებულ დამატებით საქონელზე ან მომსახურებაზე იმ საქონლის ან მომსახურების მოცულობის საფუძველზე, რომლის მიწოდებასაც საწარმო ვარაუდობს, ასევე შესაბამისი მოსალოდნელი ანაზღაურების გათვალისწინებით.
გამოყენებული გათავისუფლება შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:
• არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
• ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

2.4 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

2.5 მოგების გადასახადი
მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები,რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.
წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური
სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.7 ძირითადი საშუალებები

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ში ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარდება, როგორც ანარიცხი.
მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი -ში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.
აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით.
ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან. ან შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი მიერ შიდა მოხმარებისათვის აგებულ აქტივებთან მიმართებაში, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების დასრულებასა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან. ცვეთა დაანგარიშდება აქტივის ღირებულებაზე (შემცირებული აქტივის ნარჩენი ღირებულებით) დაყრდნობით.
ცვეთა აისახება მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივის განვითარებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.
ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადრისი პერიოდების სავარაუდო სასრგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- შენობები	20 წელი
- ავტომობილები	5 წელი
- უძრავი ინვენტარი და მოწყობილობები	5 წელი
- კომპიუტერი და ტექნიკური აღჭურვილობა	5 წელი
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 წელი

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და დანარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

2.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიგადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიაფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.
თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.
თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2.9 მარაგები
მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში, მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეზალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება შესაბამისი პარტიის ინდივიდუალური დანახარჯებით. სხვა მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.10 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიწარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია). თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

2.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

2.12 ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები) ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯისაკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიაფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო

მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივი აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სხვა ხარჯების მუხლში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯისავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას. ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საბანკო დეპოზიტებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე, შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიმის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიგეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

2.13 სესხები

კომპანიას აქვს მიმდინარე სასესხო ვალდებულებები, სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ყავს როგორც შტატიანი ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადადასახადო კოდექსისი შესაბამისად.

2.14 საკუთარი კაპიტალი

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-სსაკუთარი კაპიტალი განისაზღვრება შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-სწესდებით. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-სწესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.15 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

<u>3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები</u>

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიგადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიაფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 სასამართლო დავები

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხების შეფასებისას შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. შემოსავალი

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს საქმიანობა არის - საცალო ვაჭრობა აუდიო- და ვიდეომოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა კომპიუტერებით, პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით სპეციალიზებულ მაღაზიებში. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი მომსახურების სახით;

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი გაყიდვის ხელშეკრულების სახით;

ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მიღებული შემოსავალი, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები, სავაჭრო შეღავათები და მოცულობის ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს;

შემოსავალი 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	**31/12/2021**
საქონლის გაყიდვიდან	26971356	1819461
მომსახურების გაწევიდან	0	0
ექსპორტი	0	0
სულ შემოსავალი	**26971356**	**1819461**

5. მომავალი საიჯარო გადასახდელები

მომავალი საიჯარო გადასახდელები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ დაფიქსირებულა.

6. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	**31/12/2021**
გაყიდვების თვითღირებულება	-20265275	-1484153
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1517548	-138479
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-115700	-11309
იჯარის ხარჯი	-1861099	-106963
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-4533499	-916719
სულ საოპერაციო ხარჯები	**-28293121**	**-2657623**

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2021
ძირითადი საშუალებები	1020434	596636
ძირითადი საშუალებების ცვეთა	-115700	-11309
სულ ძირითადი საშუალებები	**904734**	**585327**

8. მარაგები

მარაგები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2021
საქონელი	0	0
ნედლეული და მასალები	0	0
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12245224	8184277
სულ	**12245224**	**8184277**

9.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	917847	155784
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3518258	167525
სხვა მოკლევადიანი აქტივები	347525	321641
სულ	**4783630**	**644950**

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2021
ფული ბანკში	634159	3490730
ფული სალაროში	342421	0
სულ	**976580**	**3490730**

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31/12/2022	31/12/2021
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	2847680	2896920
ანარიცხები	838851	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	1982
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	74
სულ ვალდებულებები	**3686531**	**2898976**

აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის ერთ წლამდე.
- სახელფასო ვალდებულებებს არ ერიცხევა პროცენტი და გადახდის პირობა არის სამ თვემდე.
- სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და საშუალო გადახდის ვადა აქვს სამი თვემდე.

12. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო დეპოზიტები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

კომპანიის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ ხელმძღვანელობის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	**31/12/2021**
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	*4783630*	*644950*
გაცემული სესხები	3518258	167525
ფული და ფულის ეკვივალენტები	976580	3490730
საინვესტიციო ქონება	0	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
სულ ფინანსური აქტივები	***9278468***	***4303205***

	31/12/2022	**31/12/2021**
ფინანსური ვალდებულებები		
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	**3686531**	**2898976**
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	74
სულ ფინანსური ვალდებულებები	**3686531**	**2898976**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიშეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯიახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის- რისკისმართვისმიზნით,შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი ახდენს მომავალიფულადინაკადების რეგულარულ

მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ერთ წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებისშედეგად.

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

კაპიტალის მართვა

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს მენეჯმენტი დამატებით მიმოიხილავენ რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენენ ხელმძღვანელობას თავის მოსაზრებას. ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

13. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

დაკავშირებული მხარეები წარმოადგენს :

- მხარეები რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის მშობლები შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიში რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- პარტნიორი საწარმო - საწარმოები რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- მხარე რომელიც კონტროლდება ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს პირდაპირ ან ირიბად (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

2022 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები განხილულია დაკავშირებულ მხარეებთან.

14. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-სმენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

გადასახადები -საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-სოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-სოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაც გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2023 წლის 30 მარტს.
2020 წლის დასაწყსიდან, მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა კორონავირუსი (კოვიდ-19) ვირუსის გავრცელების შედეგად სიტუაცია სწრაფად ცვალებადია. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ, ისე ადგილობრივი ბაზრებზე ამასთან, მას მნიშვნელოვანი პირდაპირი შედეგი არ ჰქონია შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი-ს საქმიანობაზე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის.
საანგარიშო პერიოდის შემდგომ პერიოდში არ გამოვლენილა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი

ინდივიდუალური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2022**	**31/12/2021**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	976580	3490730
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	917847	155784
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3518258	167525
მარაგები	12245224	8273939
მზა პროდუქცია	12245224	8184277
სხვა	0	89662
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	347525	321641
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	904734	585327
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	18910168	12994946
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	2847680	2896920
ანარიცხები	838851	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	1982
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	74
სულ ვალდებულებები	3686531	2898976
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	16815250	10991200
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-1591613	-895230
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	15223637	10095970
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18910168	12994946
სულ მოკლევადიანი აქტივები	12245224	12087981
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3686531	2898976

დირექტორი **რადიგ ასგარლი**

ფინანსური მენეჯერი **რიმა ხაზალია** ჩ. ხაზალია

ABC-TELECOM GE

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი

ინდივიდუალური ანგარიშგება სრული შემოსავლის შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2022**	**31/12/2021**
ნეტო ამონაგები	26971356	1819461
საქონლის გაყიდვიდან	26971356	1819461
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-20265275	-1484153
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	6706081	335308
სხვა საოპერაციო შემოსავალი	309649	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1517548	-138479
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-115700	-11309
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-1861099	-106963
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-4533499	-916719
სულ საოპერაციო ხარჯები	-7718197	-1173470
საოპერაციო მოგება	-1012116	-838162
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-579497	-57068
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-1591613	-895230
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-1591613	-895230
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-1591613	-895230

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	10095970	0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	6719280	10991200
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	15223637	10095970

დირექტორი **რადიგ ასგარლი**

ფინანსური მენეჯერი რიმა ხაზალია

ABC-TELECOM GE
405435915
"ABC TELECOM GE" LLC

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი

ინდივიდუალური ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2022**	**31/12/2021**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	25893200	-6986374
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-24916620	-432075
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	10991200
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	976580	3572751
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	-82021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	976580	3490730

დირექტორი **რადიგ ასგარლი**

ფინანსური მენეჯერი რიმა ხაზალია

შპს ეი ბი სი-ტელეკომ ჯი
ABC-TELECOM GE
ABC TELECOM GE LLC

შპს ეი ბი სი - ტელეკომ ჯი
ინდივიდუალურ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

საკუთარი კაპიტალი

	31.12.2022	31.12.2021
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	16815250	10991200
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	0	0
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გადაფასების რეზერვი	0	0
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-1591613	-895230
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	***15223637***	***10095970***

დირექტორი **რადიგ ასგარლი**

ფინანსური მენეჯერი რიმა ხაზალია

ABC-TELECOM GE